## ზეპირი ისტორიები


## გია სიამაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის ასისტენტ-მკვლევარი


# 1968 წლის აგვისტოს გახსენება

1968 წლის აგვისტოში სად ვიყავი იოლად გავიხსენე, სასკოლო არდადეგებს მე და ჩემი ძმა სულმოუთმენლად ველოდით, რადგან ორივეს ძალიან გვიყვარდა ზღვა, თან ისეთ მყუდრო ადგილას ვისვენებდით, რომ არამც თუ მსოფლიოში განვითარებული მოვლენები, თბილისის ამბებსაც ახლად ჩამოსული დამსვენებელი თუ მოგვიყვებოდნენ ხოლმე.

ჩეხოსლოვაკიაში მომხდარი მოვლენების შესახებ უკვე თბილისში ჩამოსულმა შევიტყვე. პირველი ინფორმატორი მამაჩემი იყო, რომლის ცხოვრებაშიც მსოფლიოს პოლიტიკურ პროცესებს განსაკუთრებული ადგილი ეკავა. პრესა მისი ცხოვრების განუყოფელი ატრიბუტი იყო, ხოლი როდესაც უცხოური რადიოსადგურების მოსმენის შესაძლებლობა გაჩნდა, ტრანზისტორს გვერდიდან არ იცილებდა, ისიც იცოდა თუ დღე - ღამის რომელ საათებში ნაკლებად ხერხდებოდა „ამერიკის ხმის," „თავისუფალი ევროპის" ან „გერმანული ტალღის" ჩახშობა. მრწამსით დისიდენტი იყო და პრაღის მოვლენების შეფასებისას რა თქმა უნდა მთლიანად ჩეხებს გულშემატკივრობდა. მე იმ ჟამად, ასაკიდან გამომდინარე, ნაკლებად ვიყავი პოლიტიზირებული, თუმცა სავსებით ვიზიარებდი საბჭოეთისადმი მწვავე კრიტიკულ დამოკიდებულებას. ისე კი ჩვენი, ბრეჟნევის ხანის ახალგაზრდებისათვის, საბჭოთა წყობა უფრო ირონიის და ანეკდოტების საგანს წარმოადგენდა.

რუსულ საშუალო სკოლაში ვსწავლობდი და ჩვენი გაურკვეველი ეროვნების ისტორიის მასწავლებელი, აბრამ აბდიშოვიჩი

(გვარი აღარ მახსოვს) გაკვეთილების გარდა, შიგადაშიგ „პოლიტმეცადინეობებსაც“ გვიტარებდა. მისი თქმით, ჩეხოსლოვაკიაში მოგერიებული იქნა მსოფლიო იმპერიალიზმის შემოტევა სოციალისტური ქვეყნების ბანაკზე. იმავეს წერდნენ გაზეთები და ასევე შუქდებოდა ეს მოვლენა ტელეგადაცემებში.

კლასში ჩემს გარდა კიდევ ერთი ქართველი იყო, ანდრო ეპიტაშვილი და იმ ზაფხულს გაცვლითი პროგრამით ჩეხოსლოვაკიაში ისვენებდა, სწორეთ იმ ავბედით აგვისტოს თვეში, მაგრამ მაინდამაინც ჯარების შეყვანის დღეს დაუმთავრდა პროგრამის ვადა. როდესაც „ვარშავის ბლოკის ქვეყნების“ სამხედრო კოლონები შედიოდნენ ჩეხოსლოვაკიაში, ანდრო თბილისში ბრუნდებოდა, მაგრამ მახსოვს, როგორი მღელვარებით იხსენებდა უკვე დაძრულ სამხედრო კოლონებს. გადავწყვიტე დავკავშირებოდი. სკოლის დამთავრების შემდეგ მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაქულტეტზე ჩააბარა, ერთი პერიოდი სსრკ-ის საგარეო საქმეთა სამინისტროშიც მუშაობდა და „პრაღის გაზაფხული“ მისთვის მხოლოდ ბავშვობის მოგონებას არ წარმოადგენდა. სკაიპით ველაპარაკე და ვთხოვე ჯერ ის ამბები გაეხსენებინა, რომელთა თვითმხილველიც იყო, ხოლო შემდეგ შეფასებებიც გაეკეთებინა.

**ა. ეპიტაშვილი:** რაიმე ჩვენგან განსხვავებული ცხოვრების პირობები არ მინახია, ისეთივე სტანდარტული ხუთსართულიანი სახლები, იგივე ფასები, რაც ჩვენთან. წარმოებისა და ტექნოლოგიების მხრივ გაცილებით ჩამორჩებოდნენ იუგოსლავიას. ერთადერთი პოპულარული ბრენდი იყო ფეხსაცმლის წარმოების ფირმა “CEBO“. მაგრამ ისეთი ფილმები გადიოდა ეკრანებზე, რომლებსაც საბჭოთა კავშირში ვერ ნახავდი. მაგალითად, ძალიან პოპულარული იყო ფილმი ანსამბლ „ბიტლსზე,“ რომელიც არა მარტო მათ საშემსრულებლო კარიერაზე მოგვითხრობდა, არამედ ერთგვარი თავისუფალი ცხოვრების მანიფესტაციაც იყო.

აგვისტოს პირველი რიცხვებიდან ოცის ჩათვლით იქ ვიყავი, ანუ მე წამოვედი და იმავე ღამეს საბჭოთა ტანკები შევიდნენ ჩეხოსლოვაკიაში. უკვე აქ გავიგე რაც მოხდა.

- სად ცხოვრობდით?

- ქალაქ მილნიკში, პრაღასთან ახლოს. მის ერთ-ერთ რაიონში, რომელსაც მელახოზევეცი ეწოდებოდა.

- ხომ არ გრძნობდი რაიმე დაძაბულობას, როგორი იყო თქვენდამი ჩეხების დამოკიდებულება?

- აბსოლუტურად არა, შესაძლოა იმიტომ, რომ პატარები ვიყავით, 14 წლის, ბავშვებთან რა ანგარიშსწორება შეიძლებდა ყოფილიყო. ჯგუფში მხოლოდ მე ვიყავი ქართველი, დანარჩენი რუსები იყვნენ.

- ოკუპაციის დაწყების რაიმე ნიშნებს თუ ამჩნევდი?

- ტრასაზე სამხედრო მანქანების და ჯავშანტექნიკის გადადაადგილება მიმდინარეობდა, სადღაც მიდიოდნენ, დაახლოებით 8–10 მანქანა.

- ეს ჩეხი სამხედროები იყვნენ, თუ რუსები?

- მაგას ვერ გეტყვი, რადგან ჩეხებს მაშინ მხოლოდ საბჭოთა წარმოების ტექნიკა ჰქონდათ.

- შენ მოგვიანებით დიპლომატიურ სამსახურშიც მოგიწია საქმიანობა, რაში ხედავდნენ ამ მოვლენის გამომწვევ მიზეზს საბჭოთა დიპლომატები?

- სსრკ-ს პოლიტიკური ხელმძღვანელობის მთავარი მოთხოვნები იყო პოლემიკის შეწყვეტა ქვეყნის „ვარშავის ხელშეკრულებიდან“ გამოსვლის თაობაზე და სათანადო ზომების მიღება ანტისაბჭოთა და როგორც ამბობდნენ, რუსოფობიური პროპაგანდის წინააღმდეგ. მასობრივი აქციები აგვისტოს დასაწყისში მართლაც შეწყდა და საბჭოთა ხელმძღვანელობას გაუჩნდა წარმოდგენა, რომ ჩეხოსლოვაკიის კომპარტიამ მოახერხა დაძაბულობის განმუხტვა. პრესაში გაჩნდა მასალები სათაურით: „იმპერიალისტებს გეგმები

ჩაეშალათ!“ აქებდნენ ქვეყნის ხელმძღვანელებს... თუმცა 6 აგვისტოდან დემონსტრაციები განახლდა და უფრო მასშტაბური ხასიათი შეიძინა. ისევ ისმოდა ლოზუნგები: „სასწრაფოდ გამოვიდეთ „ვარშავის ხელშეკრულებიდან“ და „ივან, წადი სახლში!“ ცხადი გახდა ადგილობრივი ხელმძღვანლობის უუნარობა ემართა პროცესი და შეიარაღებულ ძალებს დაევალათ სამხედრო ოპერაციის ჩატარება. ზოგიერთი ჩემი კოლეგა ბრეჟნევსაც სდებდა ბრალს კრიზისის გამწვავებაში. თითქოს იგი ბოლომდე არწმუნებდა თავის გარემოცვას, რომ საშასი (დუბჩეკის) სჯერა და ის აკონტროლებს ქვეყანაში სიტუაციას. თითქოს ამგვარი მაამებლობით ხელიდან იქნა გაშვებული კრიზისის პოლიტიკური გზებით მოგვარების შესაძლებლობა.

- ამის შესახებ ვერაფერს ვიტყვი, ეს უფრო კერძო პირთა მოსაზრებად მიმაჩნია, არ მგონია, რომ ბრეჟნევის დუბჩეკისადმი დამოკიდებულებას განესაზღვრა ეს მოვლენები.